



საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი  
კვარტლის შესრულების  
მიმოხილვა

თბილისი

2011

დასახელება	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
------------	--------------	-------------------------	----------------

თავი I

საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების

მაჩვენებები

დასახელება	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსავლები	1 638 855,0	1 671 668,2	102,0%
გადასახადები	1 509 100,0	1 513 165,5	100,3%
გრანტები	53 255,0	78 042,9	146,5%
სხვა შემოსავლები	76 500,0	80 459,8	105,2%
ხარჯები	1 329 051,0	1 261 085,1	94,9%
შრომის ანაზღაურება	245 539,1	238 395,0	97,1%
საქონელი და მომსახურება	220 630,5	196 913,2	89,3%
პროცენტი	41 313,7	41 313,7	100,0%
სუბსიდიები	45 144,6	42 796,7	94,8%
გრანტები	231 435,8	225 437,7	97,4%
სოციალური უზრუნველყოფა	401 267,4	383 610,5	95,6%
სხვა ხარჯები	143 719,9	132 618,3	92,3%
საოპერაციო სალდო	309 804,1	410 583,1	132,5%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	189 850,3	205 586,2	108,3%
ზრდა	210 850,3	227 450,5	107,9%
კლება	21 000,0	21 864,3	104,1%
მთლიანი სალდო	119 953,7	204 996,8	170,9%
ფინანსური აქტივების ცვლილება	171 879,7	254 740,6	148,2%
ზრდა	182 379,7	270 344,2	148,2%
ვალუტა და დეპოზიტები	150 612,7	232 522,0	154,4%
სესხები	14 277,0	20 428,8	143,1%
აქციები და სხვა კაპიტალი	17 490,0	17 393,4	99,4%
კლება	10 500,0	15 603,7	148,6%
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	4 313,8	
სესხები	10 500,0	11 289,0	107,5%
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,9	
ვალდებულებების ცვლილება	51 926,0	49 743,7	95,8%
ზრდა	85 236,1	82 923,4	97,3%
საგარეო	73 436,1	71 118,8	96,8%
სესხები	73 436,1	71 118,8	96,8%
საშინაო	11 800,0	11 804,6	100,0%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	11 800,0	11 804,6	100,0%
კლება	33 310,1	33 179,7	99,6%
საგარეო	19 332,3	19 332,3	100,0%
სესხები	19 332,3	19 332,3	100,0%
საშინაო	13 977,8	13 847,4	99,1%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	5 000,0	5 000,0	100,0%
სხვა კრედიტორული დავალიანებები	8 977,8	8 847,4	98,5%
ბალანსი	0,0	0,0	

ათას ლარებში

შენიშვნა: ვალუტა და დეპოზიტების კლებაში გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი

საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება

და სასაზინო სამსახურის ანგარიშებზე

აღრიცხული

დასაზუსტებელი

სახსრები.

ათასლარებში

შემოსულობები	1 755 591,1	1 787 745,8	101,8%
შემოსავლები	1 638 855,0	1 671 668,2	102,0%
არაფინანსური აქტივების კლება	21 000,0	21 864,3	104,1%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	10 500,0	11 289,8	107,5%
ვალდებულებების ზრდა	85 236,1	82 923,4	97,3%
გადასახდელები	1 604 978,4	1 559 537,6	97,2%
ხარჯები	1 329 051,0	1 261 085,1	94,9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	210 850,3	227 450,5	107,9%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	31 767,0	37 822,2	119,1%
ვალდებულებების კლება	33 310,1	33 179,7	99,6%
ნაშთის ცვლილება	150 612,7	228 208,2	151,5%

შენიშვნა: ფინანსური აქტივების კლებაში (ნაშთის გამოკლებით) გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და სასაზიზო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

## თავი II

### 2011 წლის იანვარ-მარტის მაკროეკონომიკური

#### მიმოხილვა

##### მონეტარული მაჩვენებლები

2011 წლის მარტში 2010 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასებმა 4.9 პროცენტით მოიმატა.

იანვარ-მარტის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ერთმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა - სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა ფასების საერთო დონე 4.3 პროცენტით გაზარდა.

2011 წლის იანვარ-მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა. 2011 წლის მარტში 2010 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.9 პროცენტით გამყარდა და 1.712 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2011 წლის მარტში 2010 წლის დეკემბერთან შედარებით 3 ფართო ფულის აგრეგატი 4.2 პროცენტით შემცირდა და 6 011.8 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო 2 ფულის მასა 8.0 პროცენტით შემცირდა და 2 520.7 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2011 წლის იანვარ-მარტში დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 1.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 1.3 პროცენტით შემცირდა.

2011 წლის მარტში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, დოლარიზაციის კოეფიციენტი 0.16 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 72.3 პროცენტს გაუტოლდა.

## საგარეო სექტორი

2011 წლის იანვარ-მარტის განმავლობაში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.0 პროცენტით გაიზარდა. აქედან, საქონლის ექსპორტი 35.0 პროცენტით, ხოლო საქონლის იმპორტი კი 36.0 პროცენტით გაიზარდა.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2011 წლის სამი თვის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 15.3 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს უკრაინა (11.0 პროცენტი), აზერბაიჯანი (10.4 პროცენტი) და ა.შ.

ექსპორტში 13.7 პროცენტით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე თურქეთი 11.4 პროცენტით, მესამეზე სომხეთი 11.3 პროცენტით, მეოთხე პოზიციაზე იმყოფება აშშ 9.1 პროცენტით და ა.შ.

იმპორტში პირველი ადგილი 16.7 პროცენტით თურქეთს უჭირავს. შემდეგ მოდიან უკრაინა (12.6 პროცენტი), აზერბაიჯანი (9.2 პროცენტი) და ა.შ.

რაც შეეხება ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, ამ მიმართულებითაც გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 20.5 პროცენტით მსუბუქი ავტომობილებია, შემდეგ მოდიან ფეროშენადნობები (11.7 პროცენტი), აზოტოვანი სასუქები (8.8 პროცენტი), შავი ლითონების ჯართი (8.2 პროცენტი), ოქრო დამუშავებული ან ნახევრად დამუშავებული (6.0 პროცენტი), და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კი პირველ ადგილზე 12.1 პროცენტით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (6.1 პროცენტი), მსუბუქი ავტომობილები (5.9 პროცენტი), ხორბალი (3.5 პროცენტი), სამკურნალო საშუალებები (3.2 პროცენტი) და ა.შ.

**ინფორმაცია საქართველოს 2011 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტების შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების შესახებ**

2011 წლის სამი თვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების მაჩვენებლები ცალკეული კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება.

საქართველოს 2011 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 724.5 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 27.1%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 764.1 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102.3%.

**გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 553.8 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 27.9%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 559.0 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.3%.

### საქართველოს 2011 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები

ათასი ლარი

დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სულ შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)	1,773,253.8	1,815,754.8	42,500.9	102.4
შემოსავლები	1,724,453.8	1,764,100.9	39,647.1	102.3
გადასახადები	1,553,798.8	1,559,033.9	5,235.1	100.3
საშემოსავლო გადასახადი	327,860.1	328,786.6	926.5	100.3
ნაგები გადასახადი	348,286.2	349,079.6	793.4	100.2
დანატეხილი რიტეხილი გადასახადი	673,131.3	674,204.9	1,073.6	100.2
აღიზი	149,860.1	150,909.2	1,049.1	100.7
იმპორტის გადასახადი	20,191.0	20,757.1	566.1	102.8
გონების გადასახადი	24,059.9	24,684.9	625.0	102.6
სხვა გადასახადი	10,410.2	10,611.6	201.4	101.9
გრანტები	53,255.0	78,227.2	24,972.1	146.9
სხვა შემოსავლები	117,400.0	126,839.9	9,439.9	108.0
არაფინანსური აქტივები	38,300.0	39,758.4	1,458.4	103.8
ფინანსური აქტივები	10,500.0	11,895.5	1,395.5	113.3

**გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 53.3 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 15%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 78.2 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 146.9%.

**სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 117.4 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 26.7%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 126.8 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108%.

**არაფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 39.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (38.3 მლნ ლარი) 103.8%-ია.

**ფინანსური აქტივების შემცირებიდან (ვალუტა და დეპოზიტების გარეშე)** მობილიზებულ იქნა 11.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10.5 მლნ ლარი) 113.3%-ია.

### **ინფორმაცია საქართველოს 2011 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების შესახებ**

2011 წლის სამი თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების მაჩვენებლები ცალკეული კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება.

**საქართველოს 2011 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 638.9 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 27.5%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 671.7 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102.0%.

**გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 509.1 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 28.5%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 513.2 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.3%.

სახელმწიფო ბიუჯეტში სახეების მიხედვით ცალკეული გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა შემდეგია:

- **საშემოსავლო გადასახადის სახით** მობილიზებულია 307.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (307.2 მლნ ლარი) 100.1%-ია.

- **მოვების გადასახადის სახით** მობილიზებულია 349.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (348.3 მლნ ლარი) 100.2%-ია.

- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 674.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (673.1 მლნ ლარი) 100.2%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 150.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (149.9 მლნ ლარი) 100.7%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 20.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20.2 მლნ ლარი) 102.8%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 10.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10.4 მლნ ლარი) 101.5%-ია.

საქართველოს 2011 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შემოსულობები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სულ შემოსულობები (ვალდებულებების ზრდის გარეშე)	1,670,355.0	1,704,822.3	34,467.3	102.1
შემოსავლები	1,638,855.0	1,671,668.2	32,813.2	102.0
გადასახადები	1,509,100.0	1,513,165.5	4,065.5	100.3
საშემოსავლო გადასახადი	307,221.2	307,647.6	426.4	100.1
ნაგების გადასახადი	348,286.2	349,079.6	793.4	100.2
დანაშნული რირებების გადასახადი	673,131.3	674,204.9	1,073.6	100.2
ააციზი	149,860.1	150,909.2	1,049.1	100.7
იპორტის გადასახადი	20,191.0	20,757.1	566.1	102.8
სხვა გადასახადი	10,410.2	10,567.1	156.9	101.5
გრანტები	53,255.0	78,042.9	24,787.9	146.5
სხვა შემოსავლები	76,500.0	80,459.8	3,959.8	105.2
არაფინანსური აქტივები	21,000.0	21,864.3	864.3	104.1
ფინანსური აქტივები	10,500.0	11,289.8	789.8	107.5

**გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 53.3 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 15.0%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 78.0 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 146.5%.

**სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 76.5 მლნ ლარის ოდენობით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 25.5%. მობილიზებულ იქნა 80.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.2%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 7.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6.9 მლნ ლარი) 106.9%-ია. აქედან,

- პროცენტები – 4.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.6 მლნ ლარი) 103.5%-ია.

- დივიდენდების სახით მობილიზებულია 0.2 მლნ ლარი.

- რენტა – 2.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2.3 მლნ ლარი) 106.3%-ია.

- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 14.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12.8 მლნ ლარი) 111.8%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 12.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11.4 მლნ ლარი) 106.2%-ია. მათ შორის:

- სალიცენზიო მოსაკრებელი – 0.06 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.06 მლნ ლარი) 101.3%-ია;

- სანებართვო მოსაკრებელი – 6.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6.5 მლნ ლარი) 100.5%-ია.

- სარეგისტრაციო მოსაკრებელი 0.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.3 მლნ ლარი) 100.2%-ია;

- სახელმწიფო ბაჟი – 4.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.1 მლნ ლარი) 101.0%-ია;

- საკონსულო მოსაკრებელი – 0.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.3 მლნ ლარი) 137.6%-ია;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 0.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.1 მლნ ლარი) 324.1%-ია.

- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით – მობილიზებულია 0.4 მლნ ლარი.



- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 2.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1.4 მლნ ლარი) 157.5%-ია. მათ შორის:
  - საქონლის რეალიზაციიდან – 0.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.9 მლნ ლარი) 100.3%-ია;
  - მომსახურების გაწევიდან – 1.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.5 მლნ ლარი) 246.5%-ია;
- სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 47.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (45.4 მლნ ლარი) 103.8%-ია.
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 11.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11.4 მლნ ლარი) 102.1%-ია.

საქართველოს 2011 წლის იანვარ-მარტის ბიუჯეტების სხვა შემოსავლების  
შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	76,500.0	80,459.8	3,959.8	105.2
<b>შემოსავლები საკუთრიდან</b>	<b>6,899.5</b>	<b>7,377.1</b>	<b>477.6</b>	<b>106.9</b>
პროცენტები	4,575.4	4,736.3	160.9	103.5
დिवიდენდები		171.3	171.3	
რენტა	2,324.1	2,469.4	145.3	106.3
საოპირაციო და მოსახურების რეალიზაცია	12,798.4	14,309.4	1,511.0	111.8
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელი</b>	<b>11,396.1</b>	<b>12,100.8</b>	<b>704.7</b>	<b>106.2</b>
სალიცენზიო მოსაკრებლები	64.1	64.9	0.8	101.3
სანებართვო მოსაკრებლები	6,494.8	6,525.2	30.4	100.5
სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები	5.0	10.0	5.0	200.9
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	273.8	274.5	0.7	100.2
სახელმწიფო სერვისების მოსაკრებლები	1.0	1.6	0.6	155.9
სახელმწიფო ბაჟი	4,099.4	4,141.1	41.7	101.0
საკონსულო მოსაკრებლები	343.0	472.0	129.0	137.6
სანაგებობის სახელმწიფო დასახურების გადასახდელი მოსაკრებლები	75.0	243.1	168.1	324.1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლები	40.0	368.4	328.4	921.0
<b>არასაბაზროვესი ტაგის დიდი საოპირაციო და მოსახურება</b>	<b>1,402.3</b>	<b>2,208.6</b>	<b>806.3</b>	<b>157.5</b>
შემოსავლები საოპირაციო რეალიზაციიდან	899.3	901.9	2.6	100.3
შემოსავლები მოსახურების გაწვიდან	503.0	1,239.8	736.8	246.5
სხვა შემოსავლები არასაბაზროვესი ტაგის დიდი საოპირაციო და მოსახურებიდან		67.0	67.0	
<b>საოცებები (იარიები და საურავეები)</b>	<b>45,361.2</b>	<b>47,085.8</b>	<b>1,724.6</b>	<b>103.8</b>
ნებაფილი ტრანსფერები, გრანტების გარდა		2.4	2.4	
სერული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	11,440.9	11,685.2	244.3	102.1

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 21.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (21.0 მლნ ლარი) 104.1%-ია.

ფინანსური აქტივების შემცირებიდან (ვალუტა და დეპოზიტების გარეშე) მობილიზებულ იქნა 11.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10.5 მლნ ლარი) 107.5%-ია.


გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 4 313.8 ათასი ლარი, საიდანაც 4 137.4 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებას,

ხოლო 176.4 ათასი ლარი – გაურკვეველი თანხები, რომლებიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.

### თავი III სახელმწიფო ბიუჯეტის ასივნებები

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 7 107 091.4 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასივნებებმა შეადგინა 1 604 978.4 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 22.6%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 559 537.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.2%-ია.

საქართველოს 2010-2011 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების  
I კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები  
(ათას ლარებში)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 5 777 183.8 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა

ასიგნებებმა შეადგინა 1 329 051.0 ათასი ლარი, რაც წლიური შესაბამისი მაჩვენებლის 23.0%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 261 085.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.9%-ია.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა**

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 865 870.6 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 210 880.3 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის 24.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 227 450.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 107.9%-ია.


### **სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა**

„საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 220 002.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 31 767.0 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის 14.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 37 822.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 119.1%-ია.

### **სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება**

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 244 035.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 33 310.1 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 13.6%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 33 179.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ია.

**2011 წლის I კვარტლის ასიგნებების სტრუქტურა**  
(საკასო შესრულება)



• სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით ხორციელდებოდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით, სახელმწიფო კომპენსაციებითა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიებით. კერძოდ, იანვარში სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია სულ გაიცა 835.0 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში და მარტში – 830.0 ათასზე მეტ პირზე. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 230.9 მლნ ლარი;

• საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის ინიციატივით მოსახლეობისათვის ინფლაციის წნეხის შემსუბუქების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსახლეობის ელექტროენერჯის (20 ლარის ოდენობით) და სურსათის (30 ლარის ოდენობით) გაუჩერებით უზრუნველყოფაზე. საანგარიშო პერიოდში სულ ელექტროენერჯის გაუჩერი დაურიგდა 978.2 ათასამდე ოჯახს და გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 19.6 მლნ ლარზე მეტი, ხოლო სურსათის გაუჩერი – 570.4 ათასამდე ოჯახს და გადარიცხული თანხის ოდენობამ შეადგინა 17.1 მლნ ლარზე მეტი.

• სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში:

- ✓ საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 20.9 ათასზე მეტი პირი, გადარიცხული თანხის ოდენობამ – 455.0 ათას ლარამდე, თებერვალში – 20.7 ათასზე მეტი პირი და 450.0 ათას ლარამდე, მარტში – 20.4 ათასამდე პირი და 442.0 ათას ლარზე მეტი;
- ✓ საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ იანვრის თვეში შეადგინა 150.6 ათასამდე ოჯახი, გადარიცხული თანხის ოდენობამ 12.8 მლნ ლარზე

მეტი, თებერვალში – 151.7 ათასამდე ოჯახი და 12.5 მლნ ლარამდე, მარტში – 151.9 ათასამდე ოჯახი და 12.0 მლნ ლარზე მეტი;

- ✓ 3.8 ათასზე მეტ ე.წ. ახალი დეენილების ოჯახზე საარსებო შემწეობის დაფინანსებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 607.4 ათას ლარზე მეტი;
- ✓ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება გაეწია 2.1 ათასამდე ორსულს და გადარიცხულმა თანხამ შეადგინა – 1.2 მლნ ლარამდე.
- ✓ საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა რაოდენობამ შეადგინა 77.4 ათასზე მეტი და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 4 798.0 ათას ლარზე მეტი.
- ✓ ლტოლვილთა და დეენილთა შემწეობით უზრუნველყოფილ იქნა 228.0 ათასამდე პირი და გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 17 631.5 ათას ლარზე მეტი.
- ✓ ბავშვის ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობა იანვარში და თებერვალში გაიცა 285 ბავშვზე (მ.შ. 6 შშმ პირზე), ხოლო მარტში – 304 ბავშვზე (მ.შ.11 შშმ პირზე);

- ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ იანვარში დაფინანსებულ იქნა 972.9 ათასზე მეტი ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია, თებერვალში – 981.5 ათასამდე და მარტში - 994.0 ათასამდე ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია და სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 26.0 მლნ ლარზე მეტი;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ იქნა 29.7 ათასზე მეტი მოსამსახურის სადაზღვევო პრემია და სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 756.1 ათას ლარზე მეტი;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებულ იქნა 20.7 ათასამდე მოსამსახურის სადაზღვევო პრემია და ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 1 502.1 ათასამდე ლარი;

- ქ. ამბროლაურში დასრულდა 25 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა;

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს მასშტაბით განხორციელდა 13 კომპაქტური განსახლების ობიექტის საკუთრებაში გადაცემის პროცესი იქ ფაქტიურად მცხოვრებ დადამისამართებულ 1214 დეენილზე.

- დეენილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაციაზე (ევროკავშირი) მიმართულ იქნა 19.2 მლნ ლარი;

- დაფინანსდა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული და ორგანიზებულად განსახლებული ოჯახების ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური, აგრეთვე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების კომუნალური ხარჯები.

- პროფესიული განათლების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა ჩარიცხვის მაქსიმალურად გამჭვირვალე სისტემის შექმნის, და ზოგადად, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით ჩამოყალიბდა 3 საინფორმაციო ცენტრი, რომლებიც აღიჭურვა შესაბამისი თანამედროვე ინვენტარით.

- პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის – „საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეაბილიტაცია“ ფარგლებში დასრულდა 3 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია, 2 საჯარო სკოლის გაზომომარაგების და 2 საჯარო სკოლის სანტექნიკისა და ელექტროობის სამუშაოები.

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების მიზნით პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამატებით ჩამოყვანილ იქნა 186 უცხოელი მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც განაწილდნენ საქართველოს ყველა რეგიონებში. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის საჯარო სკოლებში სულ განაწილებულ იქნა 1 005 უცხოელი მასწავლებელი;

- საზღვარგარეთ განათლების მიღების სურვილის მქონე ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდებისათვის პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში შესაძლებელი გახდა შეღავათიანი საკრედიტო რესურსებით სარგებლობა. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ სახელმწიფო და წამყვანი ქართული კერძო ბანკები, საანგარიშო პერიოდში სწავლების საფასური დაუფინანსდა 54 ბენეფიციარს და სახელმწიფოს წილმა შეადგინა 543.9 ათასი ლარი;

- პროგრამის „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ ფარგლებში პრეზიდენტის სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით გამოეყო საქართველოს 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ათასზე მეტ სტუდენტს;

- მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გრძელდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მანდატურების განთავსება. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მანდატურის ინსტიტუტის არეალმა მოიცვა 288 სკოლა და დაკავდა 844 მანდატური;

- 2011 წლის საატესტო გამოცდების ხელშეწყობის მიზნით და აგრეთვე, საჯარო სკოლების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის სრულყოფის მიზნით 2 000 ათასამდე საჯარო სკოლა ჩაირთო ერთიან

საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში. ისტ-ის შესაბამისი საბაზო და მეორე დონის კურსის ტრენინგები ჩაუტარდა 601 მასწავლებელს;

- მომზადდა ბაგრატის ტაძრის, უჯარმის, ბაიათხევის და გელათის მიმდებარე ტერიტორიის ტოპო და საკადასტრო აზომვები და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში განხორციელდა იშხანისა და ოშკის სამონასტრო კომპლექსების მონიტორინგი.

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და ღუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2010 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 მარტის მდგომარეობით მოხმარებული 2 994.6 ათასი მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის ღირებულება 1 348.1 ათასი ლარის ოდენობით;

- მიწისძვრისა და ცუნამის შედეგების სალიკვიდაციოთ იაპონიის დასახმარებლად საქართველომ მიმართა 1.7 მლნ ლარი.

- გაიხსნა საქართველოს საელჩო მექსიკაში და გამარტივდა სავიზო რეჟიმი ხორვატიასთან, ირანის ისლამურ რესპუბლიკისთან და პერუსთან. აგრეთვე, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები ჰონდურასის რესპუბლიკასთან, სოლომონის კუნძულებთან, ტუვალუსთან, ლესოტოს სამეფოსთან, გვინეა-ბისაუს რესპუბლიკასთან, სომალის რესპუბლიკასთან, მავრიტიუსის რესპუბლიკასთან, რუანდის რესპუბლიკასთან, ტრინიდადი და ტობაგოს რესპუბლიკასთან, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კონგოს რესპუბლიკასა და ანტიგუა და ბარბუდასთან. გაფართოებულ იქნა საკონსულო სამსახურების სამოქმედო არეალი, მოხდა საპატიო კონსულების დანიშვნა: ფილიპინების რესპუბლიკაში, პარაგვაის რესპუბლიკაში (ქ. ასუნსიონში), ამერიკის შეერთებულ შტატებში (ქ. ჩარლსტონში).

- საზღვარგარეთის ქვეყნების სადეპორტო განყოფილებებში მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე ოპერატიულად გაიცა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობები, დახმარება გაეწია 357 დაკავებულ მოქალაქეს.

- სპორტსმენტა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიებს ღებულობდა 400-მდე სპორტსმენი, მწვრთნელი და საექიმო პერსონალი. „ვეტერან სპორტსმენტა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 169 ვეტერანმა სპორტსმენტმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული ჰქონდა 31 სახელოვან სპორტსმენტს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

- საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის ზრდისა და ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისების მიზნით „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში გერმანიის ქ. ღუსელდორფში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენაში, ასოციაცია „ქართული ღვინო“-ს ორგანიზებით მონაწილეობა მიიღო 13 ქართულმა კომპანიამ. გამოფენაში მონაწილე ქართულმა კომპანიებმა დაიწყეს მოლაპარაკებები



ადგილობრივ კომპანიებთან ქართული ღვინის მიწოდების საკითხებზე. ასევე, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით ლონდონის ღვინის მუზეუმში (ვინოპოლისი) მოეწყო საგამოფენო კუთხე.

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის მიზნით საქართველოს ყველა რეგიონში ხორციელდებოდა მექანიზაციის სერვის-ცენტრების მოწყობა და მათი აღჭურვა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. ამ მიზნით „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლების“ პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა 115 ერთეული სხვადასხვა დასახელების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

- ზუგდიდის, ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მოცვის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოსაწყობად და გორის რაიონში ერთწლიანი კულტურების თანამედროვე ტექნოლოგიებით ორგანიზებული პირველადი წარმოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 6.3 მლნ ლარი.

- ქართველი გლეხის ოჯახის შემოსავლისა და ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის გასაზრდელად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სიმინდის სათესლე მასალის შესყიდვა, რომელიც სოფლის მოსახლეობაში რიგდება შეღავათიანი პირობით, კერძოდ მოსახლეობის მიერ სიმინდის საფასური შესაძლებელია დაიფაროს შვიდი თვის განმავლობაში ახალი მოსავლის მიღების შემდგომ. „სიმინდის პროგრამაში“ მონაწილეობის მსურველთა რაოდენობამ გადააჭარბა 34.0 ათასს.

- დაიწყო ლოგისტიკური ცენტრის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება. აღნიშნული ცენტრი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საბითუმო ბაზარს საჭირო გამანაწილებელი, შესანახი თუ სხვა საბაჟო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. იგი შეამცირებს დამოკიდებულებას სარკინიგზო გადაზიდვებზე და მწარმოებელს მისცემს ნებისმიერი რაოდენობის პროდუქციის რეალიზების საშუალებას;

- საანგარიშო პერიოდში საქართველო საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე საერთო სტენდით წარმოადგენილი იყო შემდეგ ქალაქებში: უტრეხტში, მადრიდში, რიგაში, თელავიში, ბერლინში, თეირანში და ტალინში. აქტიურად მიმდინარეობდა სვანეთის, როგორც ახალი სამთო-სათხილამურო კურორტის პოპულარიზაცია და გრძელდებოდა მუშაობა ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის ტურისტულ ობიექტად ჩამოყალიბებაზე.

- საანგარიშოპერიოდში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიიმართა 134.4 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მშენებლობაზე მიმართულ იქნა 39.9 მლნ ლარი;
- ✓ ქ. ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობაზე მიიმართა 5.5 მლნ ლარი;

✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებებზე – 89.0 მლნ ლარი;

• მსოფლიო ბანკის და აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიმართული იქნა 11.7 მლნ ლარამდე;

• საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის დაჩქარების ხელშეწყობის მიზნით: პრივატიზებული იქნა 121 ობიექტი, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გადაეცა 9 საწარმო, დაფუძნდა 3 საწარმო, განხორციელდა 6 შერწყმა, ლიკვიდაციის რეჟიმში იმყოფება 50 საწარმო, გაკოტრების პროცესი დასრულდა 1 საწარმოში;

• საანგარიშო პერიოდში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა: ადლიის საბაჟო სერვისცენტრის სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომი, ლილოს საბაჟო სერვისცენტრი (გარდა სატვირთო ავტომობილების ავტოსადგომისა), საბაჟო გამშვები პუნქტები „ნინოწმინდა“, „სარფი“ და „კარწახი“. შენობების ექსპლუატაციაში შესვლასთან ერთად მიმდინარეობდა მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა.

• ბიზნესისა და მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით საანგარიშო პერიოდში ამოქმედდა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 84.1 ათასი ლარი. აგრეთვე, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილება საგადასახადო ორგანოს აძლევს შესაძლებლობას პირის მიმართ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისათვის ფულადი ჯარიმის ნაცვლად გამოიყენოს საგადასახადო კანონმდებლობის სწავლება. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად გაუადვილებს გადასახადის გადამხდელს სამეწარმეო საქმიანობის განვითარება.

• საანგარიშო პერიოდში:

✓ პარაფირებულ იქნა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება პორტუგალიასთან, უნგრეთთან და ნორვეგიასთან. პარაფირებულ იქნა ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ოქმი ავსტრიასთან და გერმანიასთან. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართა სამხრეთ კორეის რესპუბლიკასთან.

✓ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნა კატართან და არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან, ხოლო ხელშეკრულება ინიცირებულ იქნა სან მარინოსთან, ალბანეთთან და მალაიზიასთან.

✓ საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება პარაფირებულ იქნა მექსიკასთან.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 122 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 101.0 ათასი ლარი.

**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური  
კლასიფიკაციის მიხედვით**

**„შრომის ანაზღაურების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 245 539.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა – 238 395.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 18.9%-ს შეადგენს.

**„საქონელი და მომსახურების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 220 630.5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 196 913.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 15.6%-ს შეადგენს.

**„საქონელი და მომსახურების“** კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 12 425.6 ათასი ლარი;
- მივლინებები – 10 753.6 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები – 45 260.0 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები – 2 420.7 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები – 16 154.8 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები – 983.9 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები – 3 207.0 ათასი ლარი;

- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 15 757.7 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები – 22 616.1 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 67 333.7 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 41 313.7 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 100%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 3.3%-ს შეადგენს.

პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 18.6 მლნ ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 22.7 მლნ ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 144.6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 42 796.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 3.4%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- პროფესიული სწავლების ცენტრების, უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 5 835.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.7%-ს შეადგენს;

- სახელოვნებო განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებები – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხაზით

აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 3 862.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.7%-ს შეადგენს;

- სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 6 706.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.9%-ს შეადგენს;

- ენერგოპროექტები - საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 1 348.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.9%-ს შეადგენს;

**„გრანტების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 225 437.7 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (231 437.7 ათასი ლარი) 97.4%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 17.9%-ს შეადგენს.

**„სოციალური უზრუნველყოფის“** მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 383 610.5 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (401 267.4 ათასი ლარი) 95.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 30.4%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 230 933.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

- სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 51 350.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

- ჯანმრთელობის დაზღვევა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 26 502.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.3%-ს შეადგენს;


- მოსახლეობის ელექტროენერჯის და სურსათის ვაუჩერით უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 36 673.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 69.4%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 143 719.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 132 618.3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 92.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 10.5%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია – აღნიშნული მიზნით მიიმართა 19 226.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება – აღნიშნული მიზნით მიიმართა 79 536.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.8%-ს შეადგენს;

2011 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა  
(საკასო შესრულება)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური

## აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 363 107.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (380 730.8 ათასი ლარი) 95.4%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 24.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 64 797.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (73 936.7 ათასი ლარი) 87.6%-ია;
- საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 29 236.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 055.6 ათასი ლარი) 94.1%-ია;
- ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 4 915.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 163.9 ათასი ლარი) 95.2%-ია;
- ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 41 431.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (41 433.8 ათასი ლარი) 100.0%-ია;
- საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 219 723.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (225 605.5 ათასი ლარი) 97.4%;

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 3 002.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 535.3 ათასი ლარი) 84.9%-ია;

**თავდაცვის** ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 159 251.5 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 158 299.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10.6%. მათ შორის:

- შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 154 721.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (155 033.4 ათასი ლარი) 99.8%;

- საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 1 334.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100.0%;

- თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 2 243.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 883.8 ათასი ლარი) 77.8%-ს შეადგენს.

**საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების** სფეროში დაგეგმილ იქნა 171 784.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 159 428.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10.7%. მათ შორის:

- პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 113 322.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (121 893.3 ათასი ლარი) 93.0%;



- სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 13 877.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (16 552.8 ათასი ლარი) 83.8%-ს შეადგენს.

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 18 996.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 696.7 ათასი ლარი) 96.4%-ს შეადგენს.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 13 232.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 642.2 ათასი ლარი) 97.0%-ს შეადგენს.

**ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 174 006.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 193 500.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 111.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13.0%. მათ შორის:**

- საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 14 295.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (16 103.7 ათასი ლარი) 88.8%;

- სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 5 679.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 881.0 ათასი ლარი) 82.5%-ს შეადგენს.

- სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 8 981.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 047.9 ათასი ლარი) 294.7%-ს შეადგენს.

- სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 1 629.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 640.0 ათასი ლარი) 99.4%;

- ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 132 224.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (120 028.8 ათასი ლარი) 110.2%;
- ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 25 437.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (20 268.8 ათასი ლარი) 125.5%;
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 74.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (75.5 ათასი ლარი) 98.6%-ს შეადგენს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 5 179.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 961.3 ათასი ლარი) 86.9%-ს შეადგენს.

**გარემოს დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 3 316.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 2 950.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.2%. მათ შორის:

- გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 696.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (751.9 ათასი ლარი) 92.7%;
- ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 985.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 071.4 ათასი ლარი) 91.9%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 268.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 493.1 ათასი ლარი) 85.0%-ს შეადგენს.

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის** სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 5 169.0 ათასი ლარი; საკასო შესრულებამ შეადგინა 5 555.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 107.5%, ხოლო სულ

ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.4%. მათ შორის:

- კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 174.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (175.0 ათასი ლარი) 99.4%-ს შეადგენს;
- წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 5 381.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 994.0 ათასი ლარი) 107.8%-ს შეადგენს.

**ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 77 154.4 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 75 559.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.1%. მათ შორის:**

- სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 157.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (226.2 ათასი ლარი) 69.8%;
- ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 6 863.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 877.5 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს.
- საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 22 343.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23 007.1 ათასი ლარი) 97.1%;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 11 482.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 621.2 ათასი ლარი) 98.8%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 34 712.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (35 422.4 ათასი ლარი) 98.0%-ს შეადგენს.

**დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 47 225.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ**

შეადგინა 40 618.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2.7%. მათ შორის:

- დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 7 953.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8 432.5 ათასი ლარი) 94.3%;
- კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 10 503.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 366.1 ათასი ლარი) 68.4%-ს შეადგენს.
- ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 20 977.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (22 242.9 ათასი ლარი) 94.3%;
- რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 183.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 184.0 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს.

**განათლების** სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 139 155.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი – 127 067.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8.5%. მათ შორის:

- ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 92 242.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (97 670.5 ათასი ლარი) 94.4%-ს შეადგენს.
- პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1 892.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 187.2 ათასი ლარი) 86.5%;
- უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 14 862.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 649.2 ათასი ლარი) 84.2%-ს შეადგენს.

- განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 6 111.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 431.8 ათასი ლარი) 82.2%-ს შეადგენს.

- განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 11 958.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 216.3 ათასი ლარი) 84.1%-ს შეადგენს.

**სოციალური დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 382 107.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 362 448.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 24.3%. მათ შორის:

- ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 885.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 335.1 ათასი ლარი) 80.8%;

- ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 234 524.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (234 610.1 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს.


- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 55 801.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (56 290.7 ათასი ლარი) 99.1%;

- საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 275.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 040.0 ათასი ლარი) 26.5%;

- სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 25 286.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (26 001.1 ათასი ლარი) 97.3%;

- სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 44 674.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (61 830.0 ათასი ლარი) 72.3%-ს შეადგენს.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის I კვარტლის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



### საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

2011 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 39 155.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 35 564.4 ათასი ლარი.

### საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

2011 წლის პირველ კვარტალში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების

მოცულობამ შეადგინა 10 691.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა – 10 046.5 ათასი ლარი.

## **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 31 400.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა – 28 571.5 ათასი ლარი.

### **წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის მიმართული სახსრები**

2011 წლის პირველ კვარტალში წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარავად გამოყოფილი იქნა 8 977.8 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 8 847.4 ათასი ლარი.

მათ შორის:

– წლიური საბიუჯეტო კანონით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის განსაზღვრული ასიგნებებიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატს გამოეყო 24.6 ათასი ლარი (ათვისება – 100%);

– საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლიური საბიუჯეტო კანონით მათთვის განსაზღვრულ ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად მიმართულ იქნა 1 204.8 ათასი ლარი (ათვისება – 1 095.5 ათასი ლარი);

– წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართა 151.0 ათასი ლარი („ორმხრივი, რეიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების ( თძ)“ და „ ჭ-ს ადგილობრივი ოფისის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება“; ათვისება – 133.1 ათასი ლარი), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ – 7 000.0 ათასი ლარი (საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად; ათვისება 100%);

– წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 597.2 ათასი ლარი, მათ შორის ფიზიკური პირების სასარგებლოდ 543.7 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირების სასარგებლოდ – 53.5 ათასი ლარი.

## **სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა**

### **საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა:**

საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირველ კვარტალში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 37 934.0 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია. აქედან, ვალდებულებებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 18 601.7 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების დაფარვისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 19 332.3 ათასი ლარი.

ძირითადი ვალის დაფარვისათვის გაწეული ხარჯი, 19 332.3 ათასი ლარის ოდენობით, კრედიტორების მიხედვით ძირითადად შემდეგია:

**მრავალმხრივი კრედიტორები** – 6 783.3 ათასი ლარი, ეს თანხა გადაირიცხა მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციისა (I ) და სოფლის



მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (I ) მიერ გამოყოფილი კრედიტების ძირითადი თანხის დაფარვისათვის, კერძოდ:

- სარეაბილიტაციო კრედიტისათვის – 1 764.3 ათასი ლარი;
- სტრუქტურული გარდაქმნების პირველი კრედიტისათვის – 1 375.2 ათასი ლარი;
- ენერგეტიკის სექტორის გარდაქმნის კრედიტისათვის ( შ ჩ ) – 602.7 ათასი ლარი;
- საავტომობილო გზების პროექტის კრედიტისათვის – 991.5 ათასი ლარი;
- მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პირველი პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილი კრედიტისათვის – 499.5 ათასი ლარი.
- საწარმოთა რეაბილიტაციის კრედიტისათვის – 366.0 ათასი ლარი;
- ჯანდაცვის რეაბილიტაციის პირველი კრედიტისათვის – 319.0 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის რეაბილიტაციის კრედიტისათვის – 273.9 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის კრედიტისათვის – 119.2 ათასი ლარი;
- I -ს მიერ გამოყოფილი სხვა კრედიტებისათვის - 196.9 ათასი ლარი.
- I -ის მიერ დაფინანსებულმთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების კრედიტისათვის – 275.1 ათასი ლარი.

**ორმხრივი კრედიტორები – 12 548.9 ათასი ლარი, მათ შორის:**

- თურქეთი – 5 936.3 ათასი ლარი;
- იაპონია – 2 821.5 ათასი ლარი;
- რუსეთი – 2 734.9 ათასი ლარი;
- აზერბაიჯანი – 400.1 ათასი ლარი;
- სომხეთი – 352.9 ათასი ლარი;
- ირანი – 291.9 ათასი ლარი;
- ნიდერლანდები – 11.3 ათასი ლარი.

ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეული ხარჯი, 18601.7 ათასი ლარის ოდენობით, კრედიტორების მიხედვით შემდეგია:

**მრავალმხრივი კრედიტორები – 12 574.4 ათასი ლარი, მათ შორის:**

- მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (I ) – 4 494.5 ათასი ლარი;
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (I ლ ) – 1 103.8 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (I ) – 105.4 ათასი ლარი;
- ევროგაერთიანება ( ) – 172.9 ათასი ლარი;
- აზიის განვითარების ბანკი ( ) – 2 417.0 ათასი ლარი;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (I ) – 3 309.0 ათასი ლარი;
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ( ლ ) – 971.8 ათასი ლარი;

**ორმხრივი კრედიტორები – 6 027.3 ათასი ლარი, მათ შორის:**

- რუსეთი – 2 750.1 ათასი ლარი;
- იაპონია – 1 181.3 ათასი ლარი;
- თურქეთი – 742.0 ათასი ლარი;
- სხვა ორმხრივი კრედიტორები 1 353.9 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)


კრედიტორები	ვალუბის დაფარვა	პროცენტი	სულ
კუვეიტი	-	383.1	383.1
იაპონია	2,821.5	1,181.3	4,002.8
აშშ	-	150.0	150.0
სომხეთი	352.9	266.2	619.1
აზერბაიჯანი	400.1	297.6	697.7
ირანი	291.8	218.9	510.7
ავსტრია	-	8.5	8.5
ნიდერლანდები	11.3	11.8	23.2
რუსეთი	2,734.9	2,750.1	5,485.0
თურქეთი	5,936.3	742.0	6,678.3
საფრანგეთი	-	18.0	18.0
I	6,508.3	4,494.5	11,002.8
I ლ	-	1,103.8	1,103.8
I	275.1	105.4	380.5
	-	172.9	172.9

კრედიტორები	ვალების დაფარვა	პროცენტი	სულ
ლ	-	971.8	971.8
	-	2,417.0	2,417.0
I	-	3,309.0	3,309.0
<b>სულ</b>	<b>19,332.3</b>	<b>18,601.7</b>	<b>37,934.0</b>

**სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა**

